

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**

ქ. ბათუმი

19 ივნისი 2020 წ.

ბრძანება № 01-08/26

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანებისა და „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმა, თანახმად დანართისა.
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში მითითებული თერმოსკრინინგის განხორციელება დაევალოს შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების ინსპექტორს ზურაბ კახიძეს.
3. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების (გარდა ფაკულტეტების მიერ განსახორციელებელი აქტივობებისა) აღსრულების კონტროლი ეთხოვოთ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილესა და კომენდანტს.
4. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფაკულტეტების მიერ აღსრულების კონტროლი განახორციელონ ფაკულტეტების დეკანებმა.
5. ბრძანება განთავსდეს ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბხსუ-ს ფაკულტეტებს, ყველა სტრუქტურულ ერთეულს და დასაქმებულს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ. № 52).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

მ. ჭიჭილეიშვილი

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ახალი კორონავირუსის
(COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმა

მუხლი 1. ძირითადი რეკომენდაციები

- ა) სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში-უნივერსიტეტი) COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია გამოკრულ იქნას თვალსაჩინო ადგილას;
- ბ) უნივერსიტეტში შემოსვლა იწარმოებს ვაჟა-ფშაველას ქუჩის მხრიდან;
- გ) უნივერსიტეტის შესასვლელში განთავსდეს დეზობარიერი;
- დ) თანამშრომელთა, პედაგოგთა და სტუდენტთა შემოსვლა უნივერსიტეტში დაშვებულია მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღბები, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარები/დამცავი სათვალეები, ხელთათმანი, საჭიროების შემთხვევაში ბახილები);
- ე) ერთიან შესასვლელთან განხორციელდეს თერმოსკრინინგი, ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში მოხდეს აღრიცხვა და დაუყოვნებლივ მიმართვა 112-ის ცხელ ხაზზე;
- ვ) თერმოსკრინინგის შედეგი აღირიცხოს ჟურნალში, რომელშიც დარეგისტრირდება თანამშრომელი და თითოეული შემოსული პირი (პედაგოგი, სტუდენტი, აბიტურიენტი და სხვ.);
- ზ) პედაგოგებისა და სტუდენტების მიღება უნივერსიტეტში განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით, რომელიც გამოიკვრება ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და სასწავლო აუდიტორიასთან;
- თ) პედაგოგებისა და ცვლებში მისაღები სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამუშაო ფართის ყოველ 5მ² ფართობზე 1 (ერთი) ადამიანის დაშვება;
- ი) დაცულ იქნას ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციით - არაუმცირეს 2მ;
- კ) უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტთა განთავსება სასწავლო მაგიდებთან იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთისა და პედაგოგის პირისპირ;
- ლ) თანამშრომლები, პედაგოგები და სტუდენტები უზრუნველყოფილ იყვნენ ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალეელი ერთჯერადი ხელსახოცები);
- მ) სამუშაო ადგილების ხშირად შეხებადი ზედაპირები დამუშავდეს სადეზინფექციო საშუალებებით (ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარით);
- ნ) უზრუნველყოფილ იქნას სადეზინფექციო საშუალებების განთავსება შენობის შესასვლელში და სხვა საერთო გამოყენების ადგილებში, რომლითაც სარგებლობს პერსონალი და ნებისმიერი პირი;
- ო) ყოველი მეცადინეობების შემდეგ ან ყოველ 2 საათში ერთხელ სავალდებულოა სამუშაო ადგილების, ხშირად შეხებადი ზედაპირების (ინსტრუმენტები, როიალი, ფორტეპიანო, მაგიდა და სხვ.), სასწავლო ინვენტარის გაწმენდა სადეზინფექციო

ხსნარით. დამხმარე პერსონალის მიერ განხორციელდეს სასწავლო ინსტრუმენტებისა და ინვენტარის სანიტარული დამუშავება ცხრილით მითითებული დროს ყოველ 2 საათში;

პ) პერიოდულად, მეცადინეობებს შორის დაწესდეს სანიტარული შესვენებები. დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყოფილ იქნას სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;

ჟ) გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცები და ჰიგიენური ნარჩენები განთავსდეს დახურულ კონტეინერებში, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პარკი; ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უნივერსიტეტის შესაბამისი პერსონალის მიერ უზრუნველყოფილ იქნას ასეთი ნარჩენების დროული გატანა უნივერსიტეტის შენობიდან;

რ) შესაბამისი პერსონალის მიერ უზრუნველყოფილ იქნას საერთო სამუშაო ფართის ყოველდღიური დეზინფექცია დილით და საღამოს, ასევე სანიტარული შესვენების პერიოდში;

ს) უზრუნველყოფილ იქნას სახელურების, ლიფტის ლილაკების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება პერიოდულად (2 საათიანი ინტერვალებით);

ტ) უზრუნველყოფილ იქნას სანიტარული წერტილების პერიოდული დეზინფექცია.

მუხლი 2. სარეპეტიციო და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გასატარებელი ღონისძიებები

ა) დამხმარე პერსონალის მიერ განხორციელდეს რეპეტიციებისა და გამოცდებისათვის გამოყოფილი აუდიტორიების დეზინფექცირება დილით და საღამოთი;

ბ) სარეპეტიციო სამუშაო გრაფიკი შედგეს იმგვარად, რომ სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის წევრები არ იმყოფებოდნენ უშუალო კონტაქტში ერთმანეთთან;

გ) დაწესდეს სარეპეტიციო მუშაობის გრაფიკი ცვლების მიხედვით;

დ) შესაძლებლობის მიხედვით, ერთ ცვლაში არ იქნას დაშვებული 10 (ათი) ადამიანზე მეტი;

ე) იმ შემთხვევაში, თუ შემოქმედებითი კოლექტივის სარეპეტიციო საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროება 10 (ათი) ადამიანს აღემატება, სარეპეტიციო სივრცეში უზრუნველყოფილ იქნას 5მ² ფართობზე თითო შემსრულებლის დაშვების შესაძლებლობა, ან მინიმუმ 2 მეტრის უსაფრთხო დისტანცია შემსრულებლებს შორის;

ვ) სარეპეტიციო დროის ხანგრძლივობა განისაზღვროს იმგვარად, რომ არ აღემატებოდეს 2 (ორი) საათს;

ზ) უზრუნველყოფილ იქნას ცვლებს შორის ინტერვალის შესაძლებლობა მინიმუმ 1 – 1,5 საათი;

თ) ორკესტრის/გუნდის/მომღერალთა ანსამბლის სცენაზე განთავსების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს 2 მეტრის დისტანცია/ან გუნდის საფეხურეობრივი განლაგება დისტანციის დაცვით;

ი) გასახდელებსა და საგრძობროში ავეჯი განთავსდეს იმგვარად, რომ დაცული იყოს უსაფრთხო დისტანცია;

- კ) მაქსიმალურად შემცირდეს რეპეტიციების, კონცერტებისა და სპექტაკლების დროს გამოყენებული რეკვიზიტების რაოდენობა;
- ლ) უზრუნველყოფილ იქნას საგრძობლო ნაკრების ერთი კომპლექტიდან ერთი პირის/სტუდენტის მიერ სარგებლობის საშუალება;
- მ) აიკრძალოს ერთი კოსტიუმის და სხვა სპეციალური ტანსაცმლის გამოყენება ერთზე მეტი პირის/მსახიობის/სტუდენტის მიერ, სხვა შემთხვევაში მოხდეს მისი დეზინფექცია;
- ნ) კონცერტის, სპექტაკლისა თუ სარეპეტიციო სამუშაოს დასრულების შემდეგ, უსაფრთხოების მიზნით, განისაზღვროს გამოყენებული რეკვიზიტის, ინსტრუმენტის, მიკროფონის, ხმის აპარატურის/პულტის და სხვა ტექნიკური თუ შემოქმედებითი საქმიანობისთვის აუცილებელი საშუალებების დეზინფიცირება დადგენილი წესით;
- ო) იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება სივრცის ბუნებრივი ვენტილაცია, უზრუნველყოფილ იქნას ხელოვნური ვენტილაციის გამართული მუშაობის რეჟიმი გარედან შემოტანილი ჰაერის ცირკულაციითა და გარეთ გატანით.

მუხლი 3. ღონისძიებების (სპექტაკლი/კონცერტი) გამართვის მოსამზადებელი სამუშაოები

- ა) ღონისძიების ავტორმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უზრუნველყოს შენობაში მხოლოდ იმ თანამშრომლების დაშვება, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ღონისძიებაში, ან მათი ყოფნა აუცილებელია ღონისძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად;
- ბ) სასცენო სივრცეში უზრუნველყოფილ იქნას დეკორაციებისა და რეკვიზიტების მინიმალური რაოდენობის გამოყენება;
- გ) სტუმართათვის განკუთვნილი ადგილები გადანაწილდეს იმგვარად, რომ მოხდეს უსაფრთხო მანძილის (გარდა 12 წლამდე ბავშვებისა) დაცვა;
- დ) უზრუნველყოფილ იქნას წინასწარ ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, რომ ნიღბების გარეშე სტუმრების შესვლა შენობაში აკრძალულია.

მუხლი 4. ღონისძიებების (სპექტაკლი/კონცერტი/გამოფენა/კინო-ტელე ჩვენება და სხვ.) ჩატარების რეკომენდაციები დახურული სივრცეებისთვის

- ა) სტუმართა ნაკადის მართვა განხორციელდეს იმგვარად, რომ თავიდან აიცილებულ იქნას ერთ ადგილზე ადამიანთა დიდი რაოდენობის კონცენტრაცია;
- ბ) შესასვლელებთან, რიგებში ახლო კონტაქტის თავიდან აცილების მიზნით, მოინიშნოს უსაფრთხო დისტანცია;
- გ) უზრუნველყოფილ იქნას სტუმართა დაშვება დახურულ სივრცეში მხოლოდ ნიღბით;
- დ) ღონისძიების სრული ხანგრძლივობა განისაზღვროს იმგვარად, რომ არ აღემატებოდეს 3 საათს, რომელიც მოიცავს სტუმრის შენობაში შემოსვლისა და შენობის დატოვების დროს;
- ე) ღონისძიება უნდა გაიმართოს ერთ მოქმედებად, ანტრაქტის გარეშე;

- ვ) აიკრძალოს სტუმართათვის ისეთი სერვისების (კვების ობიექტის, ფურშეტის) შეთავაზება, რაც უშუალოდ არ უკავშირდება ღონისძიების მიმდინარეობას;
- ზ) საგამოფენო ღონისძიებების ჩატარებისას უზრუნველყოფილ იქნას ყოველ 5 კვადრატულ მეტრზე 1 (ერთი) ადამიანის დაშვება, სოციალური დისტანციის დაცვის პირობით. დამსწრე პირთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს სივრცის ზომის მიხედვით;
- თ) საექსპოზიციო სივრცეში ახალი ვიზიტორების დაშვება, მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარბაზში შესული ვიზიტორი დატოვებს სივრცეს;
- ი) რეკომენდირებულია ექსპონატების დათვალიერებისთვის წინასწარ მონიშნოს დგომის/დათვალიერების ადგილები;
- კ) ღია სივრცეებში, უზრუნველყოფილ იქნას, სოციალური დისტანციის დაცვა და ვიზიტორთა ნაკადის იმგვარი კონტროლი, რომ მათი გადაადგილებისას, თავიდან იქნეს აცილებული ერთ უბანზე, 10-ზე მეტი ადამიანის თავშეყრა;
- ლ) გაკონტროლდეს შენობაში/ტერიტორიაზე ადამიანებს შორის სოციალური დისტანციისა და პირბადის გამოყენების დაცვა;
- მ) აუცილებელია პირთა ნაკადის კონტროლი.

მუხლი 5. მოთხოვნები კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემების მიმართ დახურულ სივრცეებში

უზრუნველყოფილ იქნას ბუნებრივი უსაფრთხო ვენტილაცია გარედან შემოსული ჰაერით.

მუხლი 6. დახურული სივრცის დალაგება

- ა) დახურული სივრცის დალაგება განხორციელდეს თითოეული ღონისძიების/რეპეტიციის/წარმოდგენის/კონცერტის დაწყებისა და დამთავრების შემდეგ;
- ბ) უნდა გაიღოს ფანჯრები და მაქსიმალურად განიავდეს სივრცე გამჭოლი ნიავის პირობებში;
- გ) ღონისძიების/რეპეტიციის/წარმოდგენის/კონცერტის დაწყების წინ დასუფთავდეს და დეზინფექცია ჩატარდეს სველი წესით (მაგ. 0,5 %-იანი ქლორის შემცველი სადეზინფექციო ხსნარით);
- დ) დასუფთავება მოხდეს შედარებით სუფთა სივრცეებიდან (მაგ. აუდიტორია) უფრო დაბინძურებული სივრცეების (სანიტარიული კვანძი) მიმართულებით;
- ე) იმ ზედაპირებისთვის, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს ქლორშემცველი ხსნარების ზემოქმედების შედეგად, შესაძლებელია 60-70%-ანი ალკოჰოლის შემცველი ან სხვა შესაბამისი დანიშნულების პრეპარატის გამოყენება;
- ვ) საყოფაცხოვრებო ქიმიის, ასევე სადეზინფექციო საშუალებების ნებისმიერი პროდუქტის გამოყენებისას, დაცული უნდა იყოს მწარმოებლის ინსტრუქცია და უსაფრთხოების რეკომენდაციები;
- ზ) დასუფთავება-დალაგების პროცედურები განხორციელდეს „ახალი კორონავირუსით (SARS-cov-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანების შესაბამისი დანართით.

თ) აკრძალულია დასუფთავების მშრალი მეთოდების (მშრალი ცოცხითა და ჩვრებით) გამოყენება, რადგან ასეთ დროს შესაძლებელია მტვრისა და პათოგენური ბიოლოგიური აგენტების მოხვედრა ჰაერსა და სამუშაო გარემოს ზედაპირებზე.

მუხლი 7. სანიტარიული კვანძის/საპირფარეშოების დალაგება/დეზინფექცია

ა) სანიტარიული კვანძების დალაგება, ინფექციის გადაცემის რისკების შემცირების მიზნით, უნდა განხორციელდეს დაბინძურებისთანავე, მაგრამ აუცილებელი წესით ყოველი ღონისძიების/რეპეტიციის/წარმოდგენის/კონცერტის წინ და დასრულების შემდეგ;

ბ) საპირფარეშოს დალაგება ხორციელდება სველი წესით და სარეცხი საშუალებებით, წმენდის შემდგომი დეზინფექციით, სათანადო წესით;

გ) დამლაგებლის ეკიპირებისთვის აუცილებელია:

- ნიღაბი;
- ერთჯერადი ხალათი;
- სპეციალური/სქელი ხელთათმანები (მრავალჯერადი);

მუხლი 8. მუხლი მოთხოვნები ღონისძიების ადგილისადმი ღია სივრცეებში:

ა) ღონისძიების ადგილის ორგანიზებისას მოხდეს უსაფრთხო (2 მეტრი) დისტანციის დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტაქტების თავიდან აცილების მიზნით, გამოიყენებულ იქნას დამცავი ბარიერები;

ბ) თუ ღონისძიება ითვალისწინებს ფეხზე დგომით დასწრების შესაძლებლობას, ღონისძიების პერიმეტრზე მონიშნულ იქნას უსაფრთხო მანძილები;

გ) უზრუნველყოფილ იქნას ღონისძიებისთვის განკუთვნილი ტერიტორიის წინასწარ სანიტარიული დასუფთავება/დეზინფექცია შესაბამისი წესით;

დ) უზრუნველყოფილ იქნას სასცენოდ განკუთვნილი აპარატურის, მიკროფონების და სხვა საშუალებების წინასწარ და შემდგომ დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით.

მუხლი 9. დამატებითი სერვისები

აუცილებელ შემთხვევაში, როცა ღონისძიების ფორმატი ითვალისწინებს მონაწილე პირთათვის კვებით/სასმელ კომპონენტს, მკაცრად უნდა იქნეს დაცული შემდეგი პირობები:

ა) გამასპინძლებისთვის გამოიყენებულ იქნას ერთჯერად კონტეინერებში (დადგენილი ნორმების დაცვით) მოთავსებული საკვები. შვედური მაგიდის გამოყენების შემთხვევაში, პერსონალის მომხმარებლებთან კონტაქტის შემცირების მიზნით, მოხდეს დამცავი გამჭვირვალე ბარიერის მონტაჟი შვედურ მაგიდასთან. ბარიერთან უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხო დისტანციის დაცვა, შესაბამისი მანიშნებლებით;

ბ) საკვებთან ერთად ბარიერს მიღმა განთავსდეს გამოსაყენებელი ერთჯერადი ჭურჭელი;

გ) გამოიყენებულ იქნას მაგიდის ერთჯერადი გადასაფარებლები, ან მაქსიმალურად შეიზღუდოს მათი გამოყენება, რადგან სასადილო მაგიდების წმენდა და

დეზინფექცია ყოველი მოხმარების შემდგომ უფრო მოსახერხებელი და ჰიგიენურად კეთილსაიმედოა;

დ) უზრუნველყოფილ იქნას დასაქმებულთა და სტუმართა ხელის ჰიგიენა სათანადო წესით;

ე) გამოყენებული ერთჯერადი ჭურჭლისთვის უზრუნველყოფილ იქნას დახურული ყუთის/კონტეინერის გამოყენების შესაძლებლობა;

ვ) პერსონალი, რომელიც ემსახურება კვებით უზრუნველყოფას, აღჭურვილ იქნას ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: ნიღაბი, სახის დამცავი ფარი, ხელთათმანები.

მუხლი 10. პერსონალის, პედაგოგთა და სტუდენტთა ვალდებულებები

1. ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე დასაქმებულებმა განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

ა) დაიცვან ჰიგიენის წესები თავიანთ სამუშაო ადგილზე;

ბ) სამუშაო პროცესი განახორციელონ წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესაბამისად;

გ) მისაღმებისას არ ჩამოართვან ხელი ერთმანეთს და მოერიდონ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);

დ) მოერიდონ თავშეყრას, რეკომენდირებულია ერთ სამუშაო პლატფორმაზე, დახურულ სივრცეში, არაუმეტეს 10 (ათი) ადამიანის მუშაობა უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მ-სა);

ე) სამუშაოების შესრულებისას გამოიყენონ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც აწვდის დამსაქმებელი;

ვ) სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავონ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;

ზ) საფუძვლიანად დაიბანონ ხელები წყლითა და საპნით. დაბანის შემდგომ ხელები კარგად გაიმშრალონ ერთჯერადი საშუალებებით;

თ) გამოიყენონ 60%-70% სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებენ ხელების დაბანას და გაშრობას;

ი) დახველების და დაცემინების დროს მიიფარონ სუფთა ხელსახოცი ან მოხრილი იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდონ ურნაში;

კ) მოერიდონ ხელებით თვალეზზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრონ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება;

ლ) არ არის სასურველი ლითონის საყურეების, ბეჭდების და თმის ჟელეს გამოყენება.

2. პედაგოგები და სტუდენტები ვალდებული არიან:

ა) დაიცვან ჰიგიენის წესები სასწავლო ორგანიზაციის სივრცეში;

ბ) გამოიყენონ სრულად ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

გ) ჩაიტარონ ხელების ადეკვატური ჰიგიენა (სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებების გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ვერ ახერხებენ ხელების დაბანას. ხილული დაბინძურების, ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას ხელების წყლითა და საპნით დაბანა სავალდებულო წესით);

დ) მოერიდონ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყონ თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმის სახის ზედაპირთან შეხება (შესაძლებელია ჩაჩის, ან სპეციალური თავსაბურავის გამოყენება).

მუხლი 11. ვალდებულებები მუსიკის და სახვითი, სასცენო, კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტებზე შემოქმედებითი ტურების ჩატარებისათვის

1. შემოქმედებითი ტურების ჩატარებისთვის გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი წესები:

- ა) აკრძალულია უნივერსიტეტში შემოსვლა პირბადის გარეშე;
- ბ) ერთიან შესასვლელთან ყველა შემომსვლელი გაივლის თერმოსკრინინგს;
- გ) გამოცდაზე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების მიღება განხორციელდეს იმგვარად, რომ დაკავებული იყოს სამუშაო ფართის 50%;
- დ) მაგიდების/მოლბერტების/დაზგების განლაგებისას გამოიყენებულ იქნას პრინციპი: სამუშაო სივრცის ყოველ 5მ² ფართობზე დაშვებულ იქნას მხოლოდ 1 (ერთი) ადამიანი;
- ე) შემოქმედებით ტურებზე და რეპეტიციებზე უფლებამოსილი პირები დაიშვებიან მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- ვ) გამოყენებულ იქნას ცვლებში მუშაობის რეჟიმი;
- ზ) ყოველი ცვლის შემდგომ გამოყენებულ იქნას სანიტარული შესვენება;
- თ) საგამოცდო დარბაზის შესასვლელში ხელის დეზინფექციისთვის საჭიროა სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;
- ი) საგამოცდო აუდიტორია უზრუნველყოფილ იქნას ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერებით., რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა უზრუნველყონ ასეთი ნარჩენების დროული გატანა შენობიდან.

2. აბიტურიენტები/მაგისტრანტების კანდიდატები ვალდებულნი არიან:

- ა) უსაფრთხოების დაცვის მიზნით გაითვალისწინონ დაცვის თანამშრომლებისა და მიმღები კომისიის წევრთა მითითებები;
- ბ) შემოსასვლელში უნდა ისარგებლონ დეზობარიერით და ხელები დაიმუშავონ სპეციალური სადეზინფექციო ხსნარით;
- გ) უნივერსიტეტის სივრცეში ეკეთოდ პირბადე, სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია გამოიყენონ პირადი ე.წ. „სახის ფარი“;
- დ) დაიცვან უსაფრთხო დისტანცია (არაუმცირეს 2მ);
- ე) შემოქმედებითი ტურების პროცესში უნდა განთავსდნენ იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთის ან გამომცდელის პირისპირ;
- ვ) დაიცვან ჰიგიენის წესები სასწავლო ორგანიზაციის სივრცეში;
- ზ) გამოიყენონ სრულად ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- თ) ჩაიტარონ ხელების ადეკვატური ჰიგიენა (სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებების გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა.

ხილული დაბინძურების ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას ხელების წყლითა და საპნით დაბანა სავალდებულო წესით);

ი) მოერიდონ ხელებით თვალეზზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. შემოქმედებითი ტურების პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმის სახის ზედაპირთან შეხება (შესაძლებელია ჩაჩის, ან სპეციალური თავსაბურავის გამოყენება);

კ) საგამოცდო სივრცეში არ შემოიტანონ ზედმეტი ნივთები (აბიტურიენტს შეუძლია შემოიტანოს: წყალი პლასტმასის ბოთლით; კალამი; პირბადე; ერთჯერადი ხელთათმანი; ასევე ტურისათვის საჭირო რეკვიზიტი, ინსტრუმენტები და აქსესუარები); სხვა შემთხვევაში ნივთები უნდა დატოვონ მიმღებ კომისიაში, შენახვისათვის განკუთვნილ ადგილას;

ლ) საგამოცდო სივრცეში აუცილებელია ნიღბის ტარება.